დანართი №2

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ - კოლეჯ "ერქვანის" საგანმანათლებლო პროგრამების - "თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი" და „იატაკისა და ფილის სამუშაოები" - მონიტორინგის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ვახტანგ ბოგველიშვილი

წევრი: გივი დოლიძე

(თბილისი, 2021 წ.)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **კოლეჯი „ერქვანი“**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **სსიპ**

საიდენტიფიკაციო კოდი: **222934671**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

II. ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგებისინტეგრირება

■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

(მონიტორინგი საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი	პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა - 15	8	-
იატაკისა და ფილის სამუშაოები	პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა - 15	6	-

IV. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 21 ოქტომბრის #1118462 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს, შემადგენლობით: თავმჯდომარე - ვახტანგ ბოგველიშვილი, წევრი - გივი დოლიძე, დაევალა სსიპ კოლეჯ „ერქვანის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ და „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) და ბ.დ) კომპონენტების შესრულების შემოწმება (მონიტორინგი საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე). ექსპერტთა ჯგუფს აგრეთვე დაევალა სსიპ-კოლეჯ "ერქვანის" ქ. ამბროლაურში, გურგენიძის ქ. #10-ში მდებარე სახელოსნოს მატერიალურ-ტექნიკურ და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების დასკვნის პროექტში/დასკვნაში ასახვა. ამ მიზნით, 2021 წლის 5 ნოემბერს შედგა მონიტორინგის ვიზიტი სსიპ-კოლეჯ "ერქვანში" (მის: ქ. ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქ. #10 და ქ. ამბროლაური, გურგენიძის ქ. #10). ვიზიტამდე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა, არსებული გარემოებების გათვალისწინებით შეადგინა მონიტორინგის განრიგი და გასაცნობად გაუგზავნა დაწესებულებას. ვიზიტისას, ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელობას, ადმინისტრაციის წარმომადგენლებს და განიხილეს მათ მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია; გაესაუბრნენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ და „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ ხელმძღვანელს და მოდულების განმახორციელებელ პირებს; გაესაუბრნენ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს; შეამოწმეს საგანმანათლებლო პროგრამების მატერიალური რესურსი; დაათვალიერეს ბიბლიოთეკაში არსებული, პროგრამებით გათვალისწინებული ფონდი და გაესაუბრნენ ბიბლიოთეკარს.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ დაასრულა ახალი სახელოსნოს (C გარემო) მშენებლობა, რომელიც მდებარეობს მისამართზე: გურგენიძის ქ. #10 და გამოყენებულ იქნება პროგრამებით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად. შენობა აღჭურვილია ცენტრალური გათბობის სისტემით და ადაპტირებულია შშმ პირთათვის. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სახელოსნოს მატერიალურ-ტექნიკური და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები და გაესაუბრა პასუხისმგებელ პირებს.

ვიზიტის დასასრულს, ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო ძირითადი მიგნებები.

წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, ზემოაღნიშნულ ორივე პროგრამაში 2.2 და 2.4 კომპონენტები შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“. მონიტორინგის წარმოების ფარგლებში, ექსპერტთა მოსაზრებით, ორივე საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით 2.2 კომპონენტი უკვე არის „სრულად შესაბამისი“, ხოლო 2.4 კომპონენტი „მეტწილად შესაბამისი“. აქედან გამომდინარე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ამჟამად არის „სრულ შესაბამისობაში“ სტანდარტის მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

სახელოსნოს (C გარემო) აღწერილობა

დაწესებულების საკუთრებაშია 950 $მ^2$ ახალაშენებული სახელოსნო ქ. ამბროლაურში, მისამართზე გურგენიძის ქ. #10, რომელიც განკუთვნილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ და „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ პრაქტიკული კომპონენტების განსახორციელებლად. ექსპერტთა ჯგუფმა, ვიზიტის ფარგლებში, დაათვალიერა ზემოთხსენებული ობიექტი და დააფიქსირა შემდეგი გარემოებები:

მშენებლობის პროცესი სრულად დამთავრებულია. შენობაში დაყენებულია ცენტრალური გათბობის სისტემა. სახელოსნო, სანიტარული კვანძების ჩათვლით, ადაპტირებულია შშმ პირთათვის. შენობის ყველა სასწავლო ფართი, სადაც პროფესიულ სტუდენტებს და პროფესიული განათლების მასწავლებლებს მოუწევთ მუშაობა, უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით. დაწესებულებაში არსებული სივრცეების განლაგება ხელს არ უშლის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვას. ამჟამად მიმდინარეობს შენობის აღჭურვა შიდა კომუნიკაციებით (გაზი, წყალი, ელექტროენერგია). ამის დასტურად დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილ იქნა შესაბამისი მტკიცებულებები, დოკუმენტაციის სახით. კერძოდ:

1. „ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელზე ერთი ახალი მომხმარებლის მიერთების მოთხოვნის შესახებ“ განაცხადი, გადასახადის გადახდის დამადასტურებელ ქვითართან ერთად;
2. წყალმომარაგების სისტემაზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;
3. ელექტროგამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების შესახებ (რეგულირებული ახალი მიერთება) განაცხადი, გადასახადის გადახდის დამადასტურებელ ქვითართან ერთად.

რაც შეეხება შენობის უსაფრთხოებას, კოლეჯმა მიმართა შპს-ს „უსაფრთხოების ნიშნები“ საევაკუაციო გეგმის მოსამზადებლად, ცეცხლმაქრების შესაძენად კი - შპს-ს „გეფფა ჯგუფი“. აღნიშნული ინვოისები გადაგზავნილია ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში, ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ კოლეჯისთვის სხვადასხვა დროს გადაცემული თანხებიდან წარმოქმნილი ნაშთის შესყიდვებისთვის გამოყენების მიზნით. ამასთან ერთად, კოლეჯმა დაარეგისტრირა განცხადება სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, სასწავლო სახელოსნოს ტექნიკური მდგომარეობის (შენობის მდგრადობის) დასკვნასთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ზემოაღწერილი სამუშაოების დასრულების შემდგომ, შენობაში განთავსდება საევაკუაციო გეგმები, ცეცხლმაქრები, საგანმანათლებლო პროგრამებით განსაზღვრული ინვენტარი. წარმოდგენილი იქნება მაფრთხილებელი/მიმთითებელი/ამკრძალავი ნიშნები. საევაკუაციო გეგმის მოზადებისა და ცეცხლმაქრების შეძენის შემდეგ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

გაკეთდება მიმართვა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისადმი (112) შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მომზადების მიზნით.

სახელოსნოს აღჭურვის დასრულებისთანავე, კოლეჯის მიერ დაქირავებული უსაფრთხოების ექსპერტი ჩაატარებს ტრენინგს უსაფრთხოების საკითხებში, პრაქტიკის მასწავლებლებისთვის. ასევე, წითელი ჯვრის ამბროლაურის ფილიალის მიერ განხორციელდება პრაქტიკის მასწავლებლების მომზადება პირველი სამედიცინო დახმარების საკითხებში. აღნიშნულის დასტურად დაწესებულებამ წარმოადგინა ხელშეკრულება #11 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ (ხელშეკრულების საგანია მომსახურეობა შრომის უსაფრთხოების სფეროში CPV 79417000). დირექტორის 2020 წლის 9 იანვრის N1 „ო“ ბრძანებით, კოლეჯში დანიშნულია შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული სპეციალისტი.

პრაქტიკული სწავლებისთვის საჭირო C გარემოს აღჭურვის, უსაფრთხოებისა და სანიტარულ-ჰიგიენური პირობების უზრუნველყოფის აქტივობები დაწესებულებას გაწერილი აქვს შესაბამისობის გეგმაში: დაწყებისა და დასრულების თარიღების, პასუხისმგებელი პირებისა და შესრულების ინდიკატორების მითითებით. ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამების „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ და „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ სასწავლო გეგმები. შედეგად იკვეთება, რომ სასწავლო მოდულების განხორციელება იმგვარადაა დაგეგმილი, რომ სწავლების მე-9 კვირამდე, 2022 წლის 17 იანვრამდე, C სასწავლო გარემოს გამოყენების საჭიროება არ დგას. ამ დრომდე კი ყველა ღონისძიება, გარდა სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის (27.10.2021 – 30.01.2022) და შენობის ვიდეო-სათვალთვალო სისტემით აღჭურვის (01.12.2021 – 28.02.2022) ღონისძიებებისა, შესაბამისობის გეგმის თანახმად შესრულებული უნდა იყოს.

აღსანიშნავია, რომ დასკვნის პროექტში სახელოსნოსთან დაკავშირებული რიგი საკითხები ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან შეფასდა ხარვეზად გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა ასახული შესაბამისობის გეგმაში. სსიპ-კოლეჯმა ერქვანმა არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა ახალი შესაბამისობი გეგმა, სადაც ასახულია აღნიშნული ხარვეზები, მათი შესაბამისობაში მოყვანის პერიოდი და სხვა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ-კოლეჯი „ერქვანის“ შესაბამისობის გეგმის თანახმად, რომელსაც იზიარებს ექსპერტთა ჯგუფი, დაწესებულება „მეტწილად შესაბამისია“ შემდეგ საკითხებთან მიმართებით:

1. სახელოსნოს სახანძრო უსაფრთხოება (საევაკუაციო გეგმის მომზადება და ცეცხლმაქრების რაოდენობის განსაზღვრა. საევაკუაციო გეგმის მოზადებისა და ცეცხლმაქრების შეძენის შემდეგ გაკეთდება მიმართვა საგანგებო სიტუაციების მართვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

სამსახურისადმი (112) შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მომზადების მიზნით);
2. დასკვნა სახელოსნოს შენობის მდგრადობასთან დაკავშირებით;
3. პრაქტიკის მასწავლებლების დატრენინგება უსაფრთხოების საკითხებში. ასევე, წითელი ჯვრის ამბროლაურის ფილიალის მიერ პრაქტიკის მასწავლებლების დატრენინგება პირველადი სამედიცინო დახმარების საკითხებში;
სახელოსნოში სამუშაო ადგილების უსაფრთხოების ნიშნებით უზრუნველყოფა (გამაფრთხილებელი, მიმთითებელი, ამკრძალავი);
4. კომუნალურები (ელ. ენერგია, წყალი, ბუნებრივი აირი);
5. შენობის დაცვა;
6. შენობის ჰიგიენურ-სანიტარული ნორმები;
7. შენობის ვიდეო-სათვალთვალო სისტემით აღჭურვა.

დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობები მოიყვანოს სისრულეში, მითითებული ვადების გათვალისწინებით.

V. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

არ გამოვლენილა

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

შესაბამისობის რეკომენდაციები:

1. 2.2.1.1 - დაწესებულებამ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის შესაბამისად მოახდინოს საგანმანათლებლო პროგრამებით „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ და „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ გათვალისწინებული მატერიალური რესურსის შეძენა და C გარემოსთვის განკუთვნილი სახელოსნოს მშენებლობის და აღჭურვის დასრულება - **ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ სახელოსნოს მშენებლობის პროცესი დასრულებულია და პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსი სახეზეა.**

2. 2.4.1.6 – ვინაიდან საგანმანათლებლო პროგრამები „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ და „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ მოითხოვს დამატებით უსაფრთხოების ზომებს, დაწესებულებამ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის შესაბამისად, მოახდინოს პროგრამებით გათვალისწინებული C გარემოსთვის განკუთვნილ ასაშენებელ სახელოსნოში ინდივიდუალური დაცვის საშუალებების და მაფრთხილებელი ნიშნების განთავსება - **დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, იმის გამო, რომ C გარემო (სახელოსნო) ჯერ აღჭურვის (წყალი, გაზი, ელექტროენერგია) პროცესშია, ზემოთხსენებული უსაფრთხოების დაცვის საშუალებები და ნიშნები ადგილზე არაა განთავსებული. აღნიშნულთან დაკავშირებით, კოლეჯმა წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რის თანახმადაც სასწავლო სახელოსნოებში განთავსდება ინვენტარი, უსაფრთხოების დაცვის საშუალებები და შემდგომ გამოეკვრება მაფრთხილებელი, მიმთითებელი და ამკრძალავი ნიშნები.**

განმავითარებელი რეკომენდაციები:

1. 2.2.1.3/4 - დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი მასწავლებლებისთვის ტრენინგების ჩატარება მოდულების შეფასების ინსტრუმენტებთან დაკავშირებით - **დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, კოლეჯი უახლოეს მომავალში გეგმავს მასწავლებელთა სახლის მეშვეობით უზრუნველყოს მოდულების განმახორციელებელ პირთა მომზადება მოდულური სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების კუთხით;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

2. 2.2.1.7 - დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობაში მოიყვანონ დოკუმენტი - რენტაბელობის ზღვარი რეალურ მდგომარეობასთან - **შესრულებულია;**

3. 2.4.1.6 - ვინაიდან საგანმანათლებლო პროგრამები „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ და „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ მოითხოვს დამატებით უსაფრთხოების მოთხოვნებს, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია პროგრამის პრაქტიკული კომპონენტების განმახორციელებელ მასწავლებლებს სწავლების დაწყებამდე ჩაუტარდეთ ტრენინგი დარგის სპეციფიკის შესაბამისი შრომის უსაფრთხოების შესახებ და C გარემოში (სახელოსნო) შესვლამდე განსახორციელებელი უსაფრთხოების ნორმების შესახებ - **მიმდინარე ვიზიტისას დადგინდა, რომ კოლეჯის მიერ დაქირავებული უსაფრთხოების ექსპერტი, სახელოსნოების ინვენტარით აღჭურვის შემდგომ, განახორციელებს პრაქტიკის მასწავლებლების დატრენინგებას უსაფრთხოების საკითხებში. აღნიშნული აქტივობა გაწერილია კოლეჯის მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

VII. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ გამოვლენილა

VIII. რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაციები:

1. 2.4.1.6 – საგანმანათლებლო პროგრამები „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ და „იატაკისა და ფილის სამუშაოები“, სპეციფიკიდან გამომდინარე, მოითხოვს დამატებით უსაფრთხოების ზომებს. C გარემოს დათვალიერების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოება: სახელოსნოს შენობის ტერიტორიაზე არ იყო განთავსებული ცეცხლმაქრები, მაფრთხილებელი და მიმთითებელი ნიშნები, ინდ. დაცვის საშუალებების გამოყენების ინსტრუქცია და პერსონალს არ ჩატარებია ინსტრუქტაჟი უსაფრთხოების საკითხებზე. აღნიშნულ საკითხზე, გასაუბრების დროს, კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უსაფრთხოების წესით განსაზღვრულ ქმედებებს განახორციელებენ C გარემოში კომუნიკაციების (დენი, წყალი, გაზი) შეყვანისა და მატერიალური რესურსის ქ. ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქ. #10 მისამართიდან ქ. ამბროლაური, გურგენიძის ქ. #10 მისამართზე გადატანის შემდგომ და წარმოადგინეს შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც - „კოლეჯის მიერ დაქირავებული უსაფრთხოების ექსპერტი, სახელოსნოების ინვენტარით აღჭურვის შემდგომ განახორციელებს პრაქტიკის მასწავლებლების დატრენინგებას უსაფრთხოების საკითხებში, ასევე წითელი ჯვრის ამბროლაურის ფილიალის მიერ განხორციელდება პრაქტიკის მასწავლებლების დატრენინგება პირველი სამედიცინო დახმარების საკითხებში. სასწავლო სახელოსნოებში ინვენტარის განთავსების შემდგომ გამოეკვრება მაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნები.“

კოლეჯს ეძლევა რეკომენდაცია, უზრუნველყოს დირექტორის 2021 წლის 24 მარტის N25 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულ „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“-ს და „იატაკისა და ფილის სამუშაოები“-ს სამშენებლო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების C გარემოში უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესში გაწერილი მექანიზმების შესრულება და შესაბამისობის გეგმის თანახმად, სისრულეში მოიყვანოს აღნიშნული საკითხები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

2. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმაში გათვალისწინებული თარიღების მიხედვით უზრუნველყოს:

1) სახელოსნოს სახანძრო უსაფრთხოება (საევაკუაციო გეგმის მომზადება და ცეცხლმაქრების რაოდენობის განსაზღვრა. საევაკუაციო გეგმის მოზადებისა და ცეცხლმაქრების შეძენის შემდეგ - მიმართვა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისადმი (112) შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მომზადების მიზნით).

<u>დაწყებისა და დასრულების სავარაუდო თარიღები: 27/10/2021 – 30/01/2022;</u>

2) დასკვნა სახელოსნოს შენობის მდგრადობასთან დაკავშირებით.

<u>დაწყებისა და დასრულების სავარაუდო თარიღები: 07/10/2021 – 30/12/2021;</u>

3) პრაქტიკის მასწავლებლების დატრენინგება უსაფრთხოების საკითხებში. ასევე, წითელი ჯვრის ამბროლაურის ფილიალის მიერ პრაქტიკის მასწავლებლების დატრენინგება პირველადი სამედიცინო დახმარების საკითხებში; სახელოსნოში სამუშაო ადგილების უსაფრთხოების ნიშნებით უზრუნველყოფა (გამაფრთხილებელი, მიმთითებელი, ამკრძალავი).

<u>დაწყებისა და დასრულების სავარაუდო თარიღები: 30/11/2021 –10/01/2022;</u>

4) კომუნალურები (ელ. ენერგია, წყალი, ბუნებრივი აირი).

<u>დაწყებისა და დასრულების სავარაუდო თარიღები: 26/10/2021 – 05/01/2022;</u>

5) შენობის დაცვა.

<u>დაწყებისა და დასრულების სავარაუდო თარიღები: 01/12/2021 – 05/01/2022;</u>

6) შენობის ჰიგიენურ-სანიტარული ნორმები.

<u>დაწყებისა და დასრულების სავარაუდო თარიღები: 01/12/2021 –10/01/2022;</u>

7) შენობის ვიდეო-სათვალთვალო სისტემით აღჭურვა.

<u>დაწყებისა და დასრულების სავარაუდო თარიღები: 01/12/2021 – 28/02/2022.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

განმავითარებელი რეკომენდაციები:

1. 2.2.1.3 - დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს პროგრამების დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი მასწავლებლებისთვის ტრენინგების ჩატარება მოდულების შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებასთან დაკავშირებით.

IX. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კედლის დაფარვის სამუშაოებში/Basic Vocational Qualification in Wall Covering Works
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0732
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ დირექტორის 2021 წლის 22 მარტის #22 „ო“ ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ. ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქ. #10 ქ. ამბროლაური, გურგენიძის ქ. #10
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	15 სტუდენტი, მოდულური, ქ. ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქ. #10, გურგენიძის ქ. #10.
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	58
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	73

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

X. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება		
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი		სრული
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება		
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება		მეტწილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

პროგრამის განხორციელებისათვის კოლეჯს გააჩნია A, B და C სასწავლო გარემო. მოდულების განხორციელებისათვის დაწესებულებას მოწყობილი აქვს A/B სასწავლო გარემო, აუდიტორია #22, მისამართზე ქ. ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქ. #10, თხუთმეტ პროფესიულ სტუდენტზე, რომელიც ამ პროგრამის მიზნებისთვის არის გამოყოფილი და აღჭურვილია შემდეგი ინვენტარით:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

- 15 ერთეული მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტისთვის
- 1 ერთეული მაგიდა და სკამი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის
- 1 ერთეული დაფა
- 1 ერთი ცალი პროექტორი
- 1 ერთი ცალი ეკრანი
- 1 ერთეული კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის
- 15 ერთეული კომპიუტერი პროფესიული სტუდენტისთვის

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც კოლეჯი, ინფრასტრუქტურის სააგენტოს დახმარებით, შეიძენს 30 ლეპტოპს (დაწყებისა და დასრულების სავარაუდო თარიღი: 10.10.2021-15.01.2022); ამ დროისთვის აუდიტორია აღჭურვილია კოლეჯის მფლობელობაში არსებული კომპიუტერებით, რომლებიც კოლეჯს ჰქონდა რეზერვში და საჭიროების შემთხვევაში გადასცემდა სტუდენტებს ონლაინ სწავლების განსახორციელებლად.
ექსპერტებმა, ვიზიტის ფარგლებში, დეტალურად შეამოწმეს პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსი, რაც გათვალისწინებულია თხუთმეტი პროფესიული სტუდენტისთვის და დასტურდება მათი კოლეჯში არსებობა. მატერიალური რესურსის გარკვეული ნაწილი დასაწყობებულია კოლეჯის C გარემოში, სახელოსნოს ტერიტორიაზე). C სასწავლო გარემოსთვის გამოყოფილია სივრცე (სასწავლო სახელოსნო) მისამართზე ქ. ამბროლაური, გურგენიძის ქ. #10, თხუთმეტი პროფესიული სტუდენტისთვის.
პროგრამა არ ითვალისწინებს საწარმოო პრაქტიკას. პრაქტიკული სწავლება არ არის გათვალისწინებული პრაქტიკის ობიექტზე. სწავლება განხორციელდება C სასწავლო გარემოში - სახელოსნოში.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ დაწესებულებას საერთო პროფესიული და დარგობრივი მოდულების განხორციელებისთვის ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს ოთხ პროფესიული განათლების მასწავლებელთან, ზოგადი მოდულების განხორციელებისთვის კი - შვიდ პროფესიული განათლების მასწავლებელთან. ექსპერტებმა გადაამოწმეს მათი პირადი საქმეები, კვირეული საათობრივი დატვირთვა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

გაესაუბრნენ მასწავლებლებს. პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის სქემის, პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობის, პროგრამის სასწავლო გეგმისა და პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების შინაარსის მიხედვით, მასწავლებელთა დატვირთვა უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

ექსპერტები გაესაუბრნენ პროგრამის განმახორციელებელ მასწავლებლებს. პროფესიული განათლების მასწავლებლების პირად საქმეებში დაცულია პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომები და სერტიფიკატები, რომელთა საფუძველზეც, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია იძლევა მოდულების სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ დარგობრივი მოდულების განმახორციელებელ მასწავლებლებს აქვთ შესაბამის დარგში მუშაობის გამოცდილება, თუმცა არ აქვთ მოდულური პროგრამების სწავლების გამოცდილება. მათივე განცხადებით, ისინი საჭიროებენ დამატებით ტრენინგს შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების კუთხით. აღნიშნულთან დაკავშირებით, წინა წარმოებისას ვიზიტით მყოფმა ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაცია: დაწესებულებამ უზრუნველყოს დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი მასწავლებლებისთვის ტრენინგების ჩატარება მოდულების შეფასების ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. ჩვენს შეკითხვაზე, გათვალისწინებულ იქნა თუ არა წინა ვიზიტისას გაცემული ეს რეკომენდაცია, დაწესებულების წარმომადგენელმა მოგვიგო, რომ მასწავლებელთათვის პერიოდულად იმართება კონსულტაციები მოდულურ სწავლებასთან დაკავშირებით. მოდულების განმახორციელებელ პირთა მომზადება მოდულური სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების კუთხით, განხორციელდება კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერისა და სასწავლო საწარმოო პრაქტიკის მენეჯერის მიერ (მათ ამ მიმართულებით გავლილი აქვთ ტრეინინგები). დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს პროგრამების დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი მასწავლებლებისთვის ტრენინგების ჩატარება მოდულების შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების მიმართულებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ ჰყავს შესაბამისი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დასტურდება მის პირად საქმეში არსებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტით - დიპლომით და მასთან გასაუბრებით. პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების პროცესში.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად საჭირო საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში ბეჭდური და ელექტრონული სახით. ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს კვალიფიციური ბიბლიოთეკარი. ექსპერტებმა გადაამოწმეს მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსები და დასტურდება მათი არსებობა. ასევე, გაესაუბრნენ დაწესებულების ბიბლიოთეკარს. დაწესებულებაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული და აღრიცხულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

დაწესებულებას მიღებული აქვს სსიპ - კოლეჯი „ერქვანი“-ს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი, დამტკიცებული დირექტორის 2021 წლის 16 მარტის #16 „ო“ ბრძანებით, რომლის მიხედვით სსსმ პირების სწავლება უზრუნველყოფილია ინდივიდუალური მიდგომებით და ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება სსსმ/შშმ სტუდენტებისთვის ხდება: სასწავლო გეგმის აკომოდაციის (მოდულით გათვალისწინებული სასწავლო გარემოსა და პირობების ცვლილება, სასწავლო მიზნებში ცვლილების შეტანის გარეშე) ან/და სასწავლო გეგმის მოდიფიკაციის (მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების, შესრულების კრიტერიუმებისა და კომპეტენციის პარამეტრების რაოდენობრივი ან თვისობრივი ცვლილება) ან/და სასწავლო გეგმაში ფუნქციური და ალტერნატიული მიზნების დამატების (წინა უნარ-ჩვევები, რომელთა გამომუშავებაც მნიშვნელოვანია დასაქმებისა და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის) მიზნით. ამასთანავე, ინკლუზიური პროფესიული განათლების შიდამხარდამჭერი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

გუნდის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, სსსმ/შშმ სტუდენტებისთვის დირექცია უზრუნველყოფს საჭირო დამატებითი სპეციალისტების დაქირავებასა და ადაპტირებული სასწავლო რესურსის შეძენას.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის განხორციელება ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ შევსებული ბიუჯეტით, კერძოდ ვაუჩერული დაფინანსებით. ბიუჯეტში მოცემულია როგორც შემოსავლები, ასევე ხარჯები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული პროგრამის „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის“ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- პროგრამის ხელმძღვანელისა და პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეები;
- ბიბლიოთეკის დებულება და ბობლიოთეკით სარგებლობის წესი, დანტკიცებული დირექტორის მიერ 2018 წლის 14 მაისის #26 „ო“ ბრძანებით;
- სსიპ-კოლეჯი „ერქვანი“-ს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი, დამტკიცებული დირექტორის 2021 წლის 16 მარტის #16 „ო“ ბრძანებით;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება;
- ვიზუალური დათვალიერება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას. პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. სასწავლო კურსების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის სავარაუდო კვირეული დატვირთვა.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, რისი მიზანიც სტუდენტთა ინტერესების დაცვაა. სასწავლო პროცესში მონაწილე პირები: პროფესიული სტუდენტები, პროფესიული განათლების მასწავლებლები და ადმინისტრაცია სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციას ეცნობიან ელექტრონული საშუალებების, მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტების, სატელეფონო შეტყობინების და ინფორმაციის მიწოდებაზე პასუხისმგებელი პირების მეშვეობით. ამ მიზნით, დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 16 მარტის #16 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულია „ინდივიდუალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

სასწავლო გეგმის შემუშავების წესი“. საჭიროების შემთხვევაში, წესი განსაზღვრავს კოლეჯის სსსმ და შშმ პირების, აგრეთვე მობილობით გადმოსული და სტატუსშეჩერებული სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

საგანმანათლებლო პროგრამა „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და დარგის ტექნოლოგიებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ სწავლების ყველა შედეგის მიღწევა დაგეგმილია დაწესებულების შენობაში. მოდულების პრაქტიკული კომპონენტების განხორციელებისთვის დაწესებულების მფლობელობაშია სახელოსნო.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამით „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. დირექტორის 2019 წლის 28 ნოემბრის #68 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულია „ინკლუზიური პროფესიული განათლების შიდა მხარდაჭერის გუნდის შექმნისა და მასში მონაწილე პირების საქმიანობის წესი“, ასევე დირექტორის 2021 წლის 16 მარტის #16 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულია „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი“.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამა „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ არ ითვალისწინებს საწარმოო პრაქტიკას, ამიტომ არც ერთ ორგანიზაციასთან ხელშეკრულება და მემორანდუმი გაფორმებული არ არის. მოდულების პრაქტიკული კომპონენტების განხორციელებისთვის დაწესებულების მფლობელობაშია სახელოსნო.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

დაწესებულება პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას უზრუნველყოფს კოლეჯის სახელოსნოში. საგანმანათლებლო პროგრამა „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“, სპეციფიკიდან გამომდინარე, მოითხოვს დამატებით უსაფრთხოების ზომებს. უსაფრთხოების პროცედურები გაწერილია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 17 ივნისის #08 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულ სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ შინაგანაწესის 11-ე თავში, კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 03 ნოემბრის N82 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და მომზადება/გადამზადების პროგრამების C გარემოში უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესში“ და კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 24 მარტის N25 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულ „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“-ს და „იატაკისა და ფილის სამუშაოები“-ს სამშენებლო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების C გარემოში უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესში“. ეს უკანასკნელი განსაზღვრავს სსიპ – კოლეჯი „ერქვანის“ სამშენებლო პროგრამებისთვის C გარემოში სპეციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმებსა და პროცედურას, კერძოდ: სახელოსნოში ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების ინსტრუქციას; კოლექტიური დაცვის საშუალების არსებობას (ცეცხლმაქრები, მაფრთხილებელი, მიმთითებელი და ამკრძალავი ნიშნები); ინსტრუქტაჟის ჩატარებას პრაქტიკის ობიექტზე შესვლამდე. C გარემოს დათვალიერების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოება: სახელოსნოს შენობის ტერიტორიაზე არ იყო განთავსებული ცეცხლმაქრები, მაფრთხილებელი და მიმთითებელი ნიშნები, ინდ. დაცვის საშუალებების გამოყენების ინსტრუქცია და პერსონალს არ ჩატარებია ინსტრუქტაჟი უსაფრთხოების საკითხებზე. აღნიშნულ საკითხზე, გასაუბრების დროს, კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უსაფრთხოების წესით განსაზღვრულ ქმედებებს განახორციელებენ C გარემოში კომუნიკაციების (დენი, წყალი, გაზი) შეყვანისა და მატერიალური რესურსის ქ. ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქ. #10 მისამართიდან ქ. ამბროლაური, გურგენიძის ქ. #10 მისამართზე გადატანის შემდგომ და წარმოადგინეს შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც - „კოლეჯის მიერ დაქირავებული უსაფრთხოების ექსპერტი, სახელოსნოების ინვენტარით აღჭურვის შემდგომ განახორციელებს პრაქტიკის მასწავლებლების დატრენინგებას უსაფრთხოების საკითხებში, ასევე წითელი ჯვრის ამბროლაურის ფილიალის მიერ განხორციელდება პრაქტიკის მასწავლებლების დატრენინგება პირველი სამედიცინო დახმარების საკითხებში. სასწავლო სახელოსნოებში ინვენტარის განთავსების შემდგომ გამოეკვრება მაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნები.“ კოლეჯს ეძლევა რეკომენდაცია, უზრუნველყოს დირექტორის 2021 წლის 24 მარტის N25 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულ „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“-ს და „იატაკისა და ფილის სამუშაოები“-ს სამშენებლო პროფესიული საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

პროგრამების C გარემოში უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესში გაწერილი მექანიზმების შესრულება და შესაბამისობის გეგმის თანახმად, სისრულეში მოიყვანოს აღნიშნული საკითხები.
დირექტორის 2020 წლის 9 იანვრის N1 „ო“ ბრძანებით კოლეჯში დანიშნულია შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული სპეციალისტი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროგრამა „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“-ს სასწავლო გეგმა;
- „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი“ დამტკიცებული დირექტორის 2021 წლის 16 მარტის #16 „ო“ ბრძანებით;
- „ინკლუზიური პროფესიული განათლების შიდა მხარდაჭერის გუნდის შექმნისა და მასში მონაწილე პირების საქმიანობის წესი“ დამტკიცებული დირექტორის 2019 წლის 28 ნოემბრის #68 „ო“ ბრძანებით;
- სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ შინაგანაწესი, დამტკიცებული დირექტორის 2020 წლის 17 ივნისის #08 „ო“ ბრძანებით;
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და მომზადება/გადამზადების პროგრამების C გარემოში უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი“, დამტკიცებული დირექტორის 2020 წლის 03 ნოემბრის N 82 „ო“ ბრძანებით;
- „იატაკისა და ფილის სამუშაოების“-ს და „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“-ს საამშენებლო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების C გარემოში უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი“ დამტკიცებული დირექტორის 2021 წლის 24 მარტის N 25 „ო“ ბრძანებით;
- შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის სერტიფიკატი;
- შესაბამისობის გეგმა;
- 2021 წლის 20 აპრილის ხელშეკრულება #11 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ (გამარტივებული შესყიდვა);
- გასაუბრება;
- ვიზუალური დათვალიერება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური**

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისია. დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 16 მარტის N17 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულია „ინსტრუმენტის შემუშავების, დამოწმების, გამოყენების და სტუდენტის მიერ შედეგის დადასტურების და გასაჩივრების წესი“. წესი მოიცავს ისეთ საკითხს, როგორიცაა „სწავლის შედეგის შეფასების, ინსტრუმენტის შემუშავების, დამოწმების, გამოყენების და სტუდენტის მიერ შედეგის დადასტურების და გასაჩივრების წესი“, უფრო კონკრეტულად კი შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის და შემუშავების პროცედურას, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებულ მოთხოვნებს, შეფასების ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმებს, შეფასების ადმინისტრირების საკითხებს, შეფასების შედეგების პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებულ საკითხებს, აპელაციის წესს. ის ასევე მოიცავს განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურას და მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესს.

2. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 15 ივლისის N46 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულია „შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია“. თითოეული პროფესიული პროგრამის შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციას ახორციელებს კომისია, მათ შორის ხარისხის სამსახურის მენეჯერი. ვერიფიკაციის პროცესი ინტერესთა კონფლიქტს გამორიცხავს. დოკუმენტში აღწერილია ვერიფიკაციის მიმართულებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ვერიფიკაციის მექანიზმი; შერჩევის მექანიზმი (რისკების სისტემა); ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი; ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირი/პირები; ვერიფიკაციის პროცესი.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების და მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. 3 წლის შემდეგ დოკუმენტები განკარგული იქნება დაწესებულების მიერ დადგენილი წესით, დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 8 აგვისტოს #29 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ არქივის წარმოების დებულების შესაბამისად.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის

პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისთვის გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. სასწავლო პროცესის მენეჯერი აანალიზებს შეფასების შედეგებს და ანგარიშს წარუდგენს კოლეჯის დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის.

სტუდენტებისთვის შეფასების შედეგების გაცნობა ხდება სხვადასხვა ფორმით, მათთან შეთანხმების საფუძველზე: ჯგუფურად, ელ. სერვისების გამოყენებით, ინდივიდუალურად საკონტაქტო ტელეფონზე დაკავშირებით თუ უშუალოდ მეცადინეობების დროს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „ინსტრუმენტის შემუშავების, დამოწმების, გამოყენების და სტუდენტის მიერ შედეგის დადასტურების და გასაჩივრების წესი“ დამტკიცებული დირექტორის 2021 წლის 16 მარტის N 17 „ო“ ბრძანებით;
- “შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია“ დამტკიცებული დირექტორის 2020 წლის 15 ივლისის N 46 „ო“ ბრძანებით;
- სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ არქივის წარმოების დებულება დამტკიცებული დირექტორის 2018 წლის 8 აგვისტოს #29 „ო“ ბრძანებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

პროგრამის სახელწოდება	იატაკისა და ფილის სამუშაოები
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია იატაკისა და ფილის სამუშაოებში/Basic Vocational Qualification in Floor and Tile Works
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0732
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	სსიპ კოლეჯი ერქვანის დირექტორის 2021 წლის 22 მარტის #22 „ო“ ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ. ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქ. #10 ქ. ამბროლაური, გურგენიძის ქ. #10
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	15 სტუდენტი, მოდულური, ქ. ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქ. #10, გურგენიძის ქ. #10.
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	82
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	97

X. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება		
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი		სრული
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება		
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება		მეტწილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

7. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
8. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
9. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
10. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
11. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
12. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

პროგრამის განხორციელებისათვის კოლეჯს გააჩნია A, B და C სასწავლო გარემო. მოდულების განხორციელებისათვის დაწესებულებას მოწყობილი აქვს A/B სასწავლო გარემო, აუდიტორია #22, მისამართზე ქ. ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქ. #10,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

თხუთმეტ პროფესიულ სტუდენტზე, რომელიც ამ პროგრამის მიზნებისთვის არის გამოყოფილი და აღჭურვილია შემდეგი ინვენტარით:

- 15 ერთეული მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტისათვის
- 1 ერთეული მაგიდა და სკამი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის
- 1 ერთეული დაფა
- 1 ერთი ცალი პროექტორი
- 1 ცალი ეკრანი
- 1 ერთეული კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის
- 15 ერთეული კომპიუტერი პროფესიული სტუდენტისთვის

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც კოლეჯი, ინფრასტრუქტურის სააგენტოს დახმარებით, შეიძენს 30 ლეპტოპს (დაწყებისა და დასრულების სავარაუდო თარიღი: 10.10.2021-15.01.2022); ამ დროისთვის აუდიტორია აღჭურვილია კოლეჯის მფლობელობაში არსებული კომპიუტერებით, რომლებიც კოლეჯს ჰქონდა რეზერვში და საჭიროების შემთხვევაში გადასცემდა სტუდენტებს ონლაინ სწავლების განსახორციელებლად.
ექსპერტებმა, ვიზიტის ფარგლებში, დეტალურად შეამოწმეს პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსი, რაც გათვალისწინებულია თხუთმეტი პროფესიული სტუდენტისთვის და დასტურდება მათი კოლეჯში არსებობა. მატერიალური რესურსის გარკვეული ნაწილი დასაწყობებულია კოლეჯის C გარემოში, სახელოსნოს ტერიტორიაზე). C სასწავლო გარემოსთვის გამოყოფილია სივრცე (სასწავლო სახელოსნო) მისამართზე ქ. ამბროლაური, გურგენიძის ქ. #10, თხუთმეტი პროფესიული სტუდენტისთვის.
პროგრამა არ ითვალისწინებს საწარმოო პრაქტიკას. პრაქტიკული სწავლება არ არის გათვალისწინებული პრაქტიკის ობიექტზე. სწავლება განხორციელდება C სასწავლო გარემოში - სახელოსნოში.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ დაწესებულებას საერთო პროფესიული და დარგობრივი მოდულების განხორციელებისთვის ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს ოთხ პროფესიული განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

მასწავლებელთან, ზოგადი მოდულების განხორციელებისთვის კი - შვიდ პროფესიული განათლების მასწავლებელთან. ექსპერტებმა გადაამოწმეს მათი პირადი საქმეები, კვირეული საათობრივი დატვირთვა და გაესაუბრნენ მასწავლებლებს. პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის სქემის, პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობის, პროგრამის სასწავლო გეგმისა და პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების შინაარსის მიხედვით, მასწავლებელთა დატვირთვა უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

ექსპერტები გაესაუბრნენ პროგრამის განმახორციელებელ მასწავლებლებს. პროფესიული განათლების მასწავლებლების პირად საქმეებში დაცულია პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომები და სერტიფიკატები, რომელთა საფუძველზეც, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია იძლევა მოდულების სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ დარგობრივი მოდულების განმახორციელებელ მასწავლებლებს აქვთ შესაბამის დარგში მუშაობის გამოცდილება, თუმცა არ აქვთ მოდულური პროგრამების სწავლების გამოცდილება. მათივე განცხადებით, ისინი საჭიროებენ დამატებით ტრენინგს შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების კუთხით. აღნიშნულთან დაკავშირებით, წინა წარმოებისას ვიზიტით მყოფმა ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაცია: დაწესებულებამ უზრუნველყოს დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი მასწავლებლებისთვის ტრენინგების ჩატარება მოდულების შეფასების ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. ჩვენს შეკითხვაზე, გათვალისწინებულ იქნა თუ არა წინა ვიზიტისას გაცემული ეს რეკომენდაცია, დაწესებულების წარმომადგენელმა მოგვიგო, რომ მასწავლებელთათვის პერიოდულად იმართება კონსულტაციები მოდულურ სწავლებასთან დაკავშირებით. მოდულების განმახორციელებელ პირთა მომზადება მოდულური სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების კუთხით, განხორციელდება კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერისა და სასწავლო საწარმოო პრაქტიკის მენეჯერის მიერ (მათ ამ მიმართულებით გავლილი აქვთ ტრეინინგები). დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს პროგრამების დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი მასწავლებლებისთვის ტრენინგების ჩატარება მოდულების შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების მიმართულებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ ჰყავს შესაბამისი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დასტურდება მის პირად საქმეში არსებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტით - დიპლომით და მასთან გასაუბრებით. პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების პროცესში.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად საჭირო საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში ბეჭდური და ელექტრონული სახით. ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს კვალიფიციური ბიბლიოთეკარი. ექსპერტებმა გადაამოწმეს მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსები და დასტურდება მათი არსებობა. ასევე, გაესაუბრნენ დაწესებულების ბიბლიოთეკარს. დაწესებულებაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული და აღრიცხულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

დაწესებულებას მიღებული აქვს სსიპ - კოლეჯი „ერქვანი“-ს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი, დამტკიცებული დირექტორის 2021 წლის 16 მარტის #16 „ო“ ბრძანებით, რომლის მიხედვით სსსმ პირების სწავლება უზრუნველყოფილია ინდივიდუალური მიდგომებით და ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება სსსმ/შშმ სტუდენტებისთვის ხდება: სასწავლო გეგმის აკომოდაციის (მოდულით გათვალისწინებული სასწავლო გარემოსა და პირობების ცვლილება, სასწავლო მიზნებში ცვლილების შეტანის გარეშე) ან/და სასწავლო გეგმის მოდიფიკაციის (მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების, შესრულების კრიტერიუმებისა და კომპეტენციის პარამეტრების რაოდენობრივი ან თვისობრივი ცვლილება) ან/და სასწავლო გეგმაში ფუნქციური და ალტერნატიული მიზნების დამატების (წინა უნარ-ჩვევები, რომელთა გამომუშავებაც მნიშვნელოვანია დასაქმებისა და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის) მიზნით. ამასთანავე, ინკლუზიური პროფესიული განათლების შიდამხარდამჭერი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

გუნდის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, სსსმ/შშმ სტუდენტებისთვის დირექცია უზრუნველყოფს საჭირო დამატებითი სპეციალისტების დაქირავებასა და ადაპტირებული სასწავლო რესურსის შეძენას.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის განხორციელება ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ შევსებული ბიუჯეტით, კერძოდ ვაუჩერული დაფინანსებით. ბიუჯეტში მოცემულია როგორც შემოსავლები, ასევე ხარჯები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული პროგრამის „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- პროგრამის ხელმძღვანელისა და პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეები;
- ბიბლიოთეკის დებულება და ბობლიოთეკით სარგებლობის წესი, დანტკიცებული დირექტორის მიერ 2018 წლის 14 მაისის #26 „ო“ ბრძანებით;
- სსიპ-კოლეჯი „ერქვანი“-ს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი, დამტკიცებული დირექტორის 2021 წლის 16 მარტის #16 „ო“ ბრძანებით;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება;
- ვიზუალური დათვალიერება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

7. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
8. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
9. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
10. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
11. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
12. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას. პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. სასწავლო კურსების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის სავარაუდო კვირეული დატვირთვა.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, რისი მიზანიც სტუდენტთა ინტერესების დაცვაა. სასწავლო პროცესში მონაწილე პირები: პროფესიული სტუდენტები, პროფესიული განათლების მასწავლებლები და ადმინისტრაცია სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციას ეცნობიან ელექტრონული საშუალებების, მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტების, სატელეფონო შეტყობინების და ინფორმაციის მიწოდებაზე პასუხისმგებელი პირების მეშვეობით. ამ მიზნით, დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 16 მარტის #16 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულია „ინდივიდუალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

სასწავლო გეგმის შემუშავების წესი“. საჭიროების შემთხვევაში, წესი განსაზღვრავს კოლეჯის სსსმ და შშმ პირების, აგრეთვე მობილობით გადმოსული და სტატუსშეჩერებული სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

საგანმანათლებლო პროგრამა „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და დარგის ტექნოლოგიებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ სწავლების ყველა შედეგის მიღწევა დაგეგმილია დაწესებულების შენობაში. მოდულების პრაქტიკული კომპონენტების განხორციელებისთვის დაწესებულების მფლობელობაშია სახელოსნო.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამით „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. დირექტორის 2019 წლის 28 ნოემბრის #68 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულია „ინკლუზიური პროფესიული განათლების შიდა მხარდაჭერის გუნდის შექმნისა და მასში მონაწილე პირების საქმიანობის წესი“, ასევე დირექტორის 2021 წლის 16 მარტის #16 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულია „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი“.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამა „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ არ ითვალისწინებს საწარმოო პრაქტიკას, ამიტომ არც ერთ ორგანიზაციასთან ხელშეკრულება და მემორანდუმი გაფორმებული არ არის. მოდულების პრაქტიკული კომპონენტების განხორციელებისთვის დაწესებულების მფლობელობაშია სახელოსნო.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

დაწესებულება პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას უზრუნველყოფს კოლეჯის სახელოსნოში. საგანმანათლებლო პროგრამა „იატაკისა და ფილის სამუშაოები“, სპეციფიკიდან გამომდინარე, მოითხოვს დამატებით უსაფრთხოების ზომებს. უსაფრთხოების პროცედურები გაწერილია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 17 ივნისის #08 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულ სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ შინაგანაწესის 11-ე თავში, კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 03 ნოემბრის N 82 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და მომზადება/გადამზადების პროგრამების C გარემოში უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესში“ და კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 24 მარტის N25 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულ „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“-ს და „იატაკისა და ფილის სამუშაოები“-ს სამშენებლო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების C გარემოში უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესში“. ეს უკანასკნელი განსაზღვრავს სსიპ – კოლეჯი „ერქვანის“ სამშენებლო პროგრამებისთვის C გარემოში სპეციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმებსა და პროცედურას, კერძოდ: სახელოსნოში ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების ინსტრუქციას; კოლექტიური დაცვის საშუალების არსებობას (ცეცხლმაქრები, მაფრთხილებელი, მიმთითებელი და ამკრძალავი ნიშნები); ინსტრუქტაჟის ჩატარებას პრაქტიკის ობიექტზე შესვლამდე. C გარემოს დათვალიერების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოება: სახელოსნოს შენობის ტერიტორიაზე არ იყო განთავსებული ცეცხლმაქრები, მაფრთხილებელი და მიმთითებელი ნიშნები, ინდ. დაცვის საშუალებების გამოყენების ინსტრუქცია და პერსონალს არ ჩატარებია ინსტრუქტაჟი უსაფრთხოების საკითხებზე. აღნიშნულ საკითხზე, გასაუბრების დროს, კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უსაფრთხოების წესით განსაზღვრულ ქმედებებს განახორციელებენ C გარემოში კომუნიკაციების (დენი, წყალი, გაზი) შეყვანისა და მატერიალური რესურსის ქ. ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქ. #10 მისამართიდან ქ. ამბროლაური, გურგენიძის ქ. #10 მისამართზე გადატანის შემდგომ და წარმოადგინეს შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც - „კოლეჯის მიერ დაქირავებული უსაფრთხოების ექსპერტი, სახელოსნოების ინვენტარით აღჭურვის შემდგომ განახორციელებს პრაქტიკის მასწავლებლების დატრენინგებას უსაფრთხოების საკითხებში, ასევე წითელი ჯვრის ამბროლაურის ფილიალის მიერ განხორციელდება პრაქტიკის მასწავლებლების დატრენინგება პირველი სამედიცინო დახმარების საკითხებში. სასწავლო სახელოსნოებში ინვენტარის განთავსების შემდგომ გამოეკვრება მაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნები.“ კოლეჯს ეძლევა რეკომენდაცია, უზრუნველყოს დირექტორის 2021 წლის 24 მარტის N25 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულ „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“-ს და „იატაკისა და ფილის სამუშაოები“-ს სამშენებლო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების C გარემოში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესში გაწერილი მექანიზმების შესრულება და შესაბამისობის გეგმის თანახმად, სისრულეში მოიყვანოს აღნიშნული საკითხები.
დირექტორის 2020 წლის 9 იანვრის N1 „ო“ ბრძანებით კოლეჯში დანიშნულია შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული სპეციალისტი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროგრამა „იატაკისა და ფილის სამუშაოები“-ს სასწავლო გეგმა;
- „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი“ დამტკიცებული დირექტორის 2021 წლის 16 მარტის #16 „ო“ ბრძანებით;
- „ინკლუზიური პროფესიული განათლების შიდა მხარდაჭერის გუნდის შექმნისა და მასში მონაწილე პირების საქმიანობის წესი“ დამტკიცებული დირექტორის 2019 წლის 28 ნოემბრის #68 „ო“ ბრძანებით;
- სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ შინაგანაწესი, დამტკიცებული დირექტორის 2020 წლის 17 ივნისის #08 „ო“ ბრძანებით;
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და მომზადება/გადამზადების პროგრამების C გარემოში უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი“, დამტკიცებული დირექტორის 2020 წლის 03 ნოემბრის N 82 „ო“ ბრძანებით;
- „იატაკისა და ფილის სამუშაოების“-ს და „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“-ს საამშენებლო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების C გარემოში უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი“ დამტკიცებული დირექტორის 2021 წლის 24 მარტის N 25 „ო“ ბრძანებით;
- შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის სერტიფიკატი;
- შესაბამისობის გეგმა;
- 2021 წლის 20 აპრილის ხელშეკრულება #11 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ (გამარტივებული შესყიდვა);
- გასაუბრება;
- ვიზუალური დათვალიერება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

5. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
6. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
7. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
8. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური**

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისია. დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 16 მარტის N17 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულია „ინსტრუმენტის შემუშავების, დამოწმების, გამოყენების და სტუდენტის მიერ შედეგის დადასტურების და გასაჩივრების წესი“. წესი მოიცავს ისეთ საკითხს, როგორიცაა „სწავლის შედეგის შეფასების, ინსტრუმენტის შემუშავების, დამოწმების, გამოყენების და სტუდენტის მიერ შედეგის დადასტურების და გასაჩივრების წესი“, უფრო კონკრეტულად კი შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის და შემუშავების პროცედურას, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებულ მოთხოვნებს, შეფასების ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმებს, შეფასების ადმინისტრირების საკითხებს, შეფასების შედეგების პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებულ საკითხებს, აპელაციის წესს. ის ასევე მოიცავს განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურას და მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესს.

2. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 15 ივლისის N46 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულია „შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია“. თითოეული პროფესიული პროგრამის შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციას ახორციელებს კომისია, მათ შორის ხარისხის სამსახურის მენეჯერი. ვერიფიკაციის პროცესი ინტერესთა კონფლიქტს გამორიცხავს. დოკუმენტში აღწერილია ვერიფიკაციის მიმართულებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ვერიფიკაციის მექანიზმი; შერჩევის მექანიზმი (რისკების სისტემა); ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი; ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირი/პირები; ვერიფიკაციის პროცესი.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების და მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. 3 წლის შემდეგ დოკუმენტები განკარგული იქნება დაწესებულების მიერ დადგენილი წესით, დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 8 აგვისტოს #29 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ არქივის წარმოების დებულების შესაბამისად.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის

პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისთვის გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. სასწავლო პროცესის მენეჯერი აანალიზებს შეფასების შედეგებს და ანგარიშს წარუდგენს კოლეჯის დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის.

სტუდენტებისთვის შეფასების შედეგების გაცნობა ხდება სხვადასხვა ფორმით, მათთან შეთანხმების საფუძველზე: ჯგუფურად, ელ. სერვისების გამოყენებით, ინდივიდუალურად საკონტაქტო ტელეფონზე დაკავშირებით თუ უშუალოდ მეცადინეობების დროს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „ინსტრუმენტის შემუშავების, დამოწმების, გამოყენების და სტუდენტის მიერ შედეგის დადასტურების და გასაჩივრების წესი“ დამტკიცებული დირექტორის 2021 წლის 16 მარტის N 17 „ო“ ბრძანებით;
- “შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია“ დამტკიცებული დირექტორის 2020 წლის 15 ივლისის N 46 „ო“ ბრძანებით;
- სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ არქივის წარმოების დებულება დამტკიცებული დირექტორის 2018 წლის 8 აგვისტოს #29 „ო“ ბრძანებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

XI. თანდართული დოკუმენტაცია

- ხელშეკრულება #11 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ (გამარტივებული შესყიდვა), 20 აპრილი, 2021;
- სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში დოკუმენტის რეგისტრაციის ბარათი;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკუთრების დადასტურების თაობაზე;
- „ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელზე ერთი ახალი მომხმარებლის მიერთების მოთხოვნის შესახებ“ განაცხადი, საფასურის გადახდის ქვითართან ერთად;
- წყალმომარაგების სისტემაზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;
- ელექტროგამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების შესახებ (რეგულირებული ახალი მიერთება) განაცხადი, საფასურის გადახდის ქვითართან ერთად;
- შესაბამისობის გეგმა.

თარიღი: 05/12/2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: